ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 01-16

თბილისი 6 ოქტომბერი 2014 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ „იუსტიციის სახლი“**, შემდგომში - „შემსყიდველი“, ფინანსური ოპერაციების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **კახაბერ თეთრუაშვილის** სახით, და მეორე მხრივ, **შპს „იუ-ჯი-თი“** შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე სულაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობის, **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის #1693 განკარგულების საფუძველზე**, **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4. “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია, საქართველოს 2014 სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „იუსტიციის სახლის“-თვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, შემსყიდველისათვის საჭირო 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) კომპლექტი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის (მაგიდის კომპიუტერი) შესყიდვა (CPV-30213300).

2.2. შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერილობა მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 74208 (სამოცდათოთხმეტი ათას ორას რვა) ლარს.

3.2 ერთი კომპლექტი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის (მაგიდის კომპიუტერი) ფასია 773 (შვიდას სამოცდაცამეტი) ლარი.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, საქონლის ღირებულებას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

4.1.2. შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში.

4.1.3. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს დაზიანებული ტექნიკის შეკეთება ან შეცვლა 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.1.4. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

4.1.6. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

4.1.7. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს.

5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი და ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა;

6.3. მიწოდებულ საქონელთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში;

7.2. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტით, სადაც მიეთითება მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი.

7.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას მხარეები შერჩევის მეთოდით ახორციელებენ მიწოდებული საქონლის ვიზუალურ დათვალიერებას ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ინსპექტირებას, რის შემდგომაც დგება მიღება–ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად.

7.4. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური, მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია პროექტების მენეჯერი, გელა გაფრინდაშვილი;

8. ხარისხი და გარანტია

8.1. საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული საქონელი უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების დანართში აღნიშნული მაჩვენებლების.

8.2. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება საგარანტიო მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 3(სამი) წლის ვადით. საგარანტიო მომსახურება ასევე უნდა ვრცელდებოდეს იმ კომპიუტერებზე, რომლებზეც შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით უნდა დამონტაჟდეს ოპტიკური დისკის წამკითხავი (DVD ROM).

8.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფრხველად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას მოთხოვნიდან და საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

9.3. სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის სრული მოცულობით მოწოდების შემდეგ, მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 სამუშაო დღისა.

9.4. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტისა და 4.1.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული საქონლის ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.3 პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების 9.3 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,01%-ის ოდენობით.

10.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.6. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

10.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.8. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

10.9. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.10. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო;

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო საგარანტიო მომსახურების ნაწილში 8.2 პუნქტის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

12.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის

შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ორი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.4. ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ იუსტიციის სახლი	**შპს ,,იუ–ჯი–თი''**
ქ. თბილისი, სანაპიროს N2	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა
ს/კ 204580202	ს/კ 204892964
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
მიმღები - ერთიანი ანგარიში	სს "საქართველოს ბანკი"
მიმღების ბანკის კოდი - TRESGE22	BIC კოდი: BAGAGE22
ანგარიში # GE24NB0330100200165022	ა/ა: GE88BG0000000261644601
საბიუჯეტო შემოსულობების კოდი - 302003287	
ფინანსური ოპერაციების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	გენერალური დირექტორი
კახაბერ თეთრუაშვილი	ერმილე სულაძე

დანართი #1

ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი - დესკტოპი (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) **HP EliteDesk 705 G1 SFF Business PC HP ProDisplay P221**	**Monitor** – 21.5", 16:9, 1920x1080, 5ms, 170/160, 100,000,000:1, 250cd/m, -5+25, DVI, VGA **Desktop** - AMD A8-6500B, 4GB, 500GB, 10/100/1000, DIMM - 4x, Dual Channel; 6 USB 3.0; 6 USB 2.0; 1 serial; 2 PS/2 (keyboard and mouse); 1 VGA; 2 DisplayPort 1x DVI Adapter; 1 audio in; 1 audio out; 1 RJ-45; 1 headphone; 1 microphone, Keyboard, Mouse **Warranty 3 years**	კომპლექტი	96	773.00	74208
					სულ დღგ-ს ჩათვლით:	**74208**

შემსყიდველი:

სსიპ იუსტიციის სახლი
ქ. თბილისი, სანაპიროს N2
ს/კ 204580202

საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები - ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკის კოდი - TRESGE22
ანგარიში # GE24NB0330100200165022
საბიუჯეტო შემოსულობების კოდი - 302003287

ფინანსური ოპერაციების დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

კახაბერ თეთრუაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი"
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა
ს/კ 204892964

საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი"
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

გენერალური დირექტორი

ერმილე სულაძე